6 ბურთი მეორე ტაიმში

1:0 _ ასე დამთავრდა 7 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის ცდკა-ს კალენდარული მატჩის პირველი ტაიმი. ამ საინტერესო შეხვედრის დამსწრე მრავალათასიანი მაყურებელი მოელოდა, რომ თბილისელები ინიციატივას შეინარჩუნებდნენ და მატჩს მოგებით დააგვირგვინებდნენ. ისინი მოტყუვდნენ. არმიელებმა არა თუ გაათანაბრეს ანგარიში, არამედ დამატებით 5 ბურთი გაიტანეს. მატჩი დამთავრდა ცდკა-ს ბრწყინვალე გამარჯვებით, 5:1.

ამ შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაგვანახა თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა ტექნიკისა და ტაქტიკის დაბალი დონე.

საერთოდ, თბილისის “დინამო” არ ითვალისწინებს წინა მატჩებში დაშვებულ შეცდომებს, არ გამოაქვს სათანადო დასკვნები. გუნდი არ მიდის სპორტული დაოსტატების გზით.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 9 აგვისტო, 1949 წ.